სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

5. ჯავახიშვილის ქ.
ქუთაისი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

04 / ნოემბერი / 2024 წ.

KA021794803647024

№ **13/63116**

სსიპ ნესტორ გოქაძის სახელობის
ქალაქ ქუთაისის №22 საჯარო სკოლას

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დასავლეთ საქართველოს რეგიონულმა დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 30.10.2024 წლის NMES 9240001391428 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი ქალაქ ქუთაიში, განათლების ქუჩა N64-ში მდებარე (ს/კ N03.03.25.148), სსიპ-ნესტორ გოქაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N22 საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული უძავი ქონებიდან 38.74კვ.მეტრი და 244,24კვ.მეტრი ფართების და ასევე სკოლის ეზოში არსებული 324,27კვ.მეტრი ღია სპორტული მოედნის ნებადართული საქმიანობების ფუნქციონირებისათვის იჯარის ფორმით გაცემის შესახებ გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის გათვალისწინებით (28.10.2024წლის N MES 324000138307), სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დასავლეთ საქართველოს რეგიონული დეპარტამენტი არ არის წინააღმდეგი, აუქციონის წესით იჯარით გაიცეს თქვენს წერილში მითითებული ფართები იმ პირობით, რომ სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 (ორი) კვირის ვადაში გაუქმებული იქნება საიჯარო ხელშეკრულება, რაც უნდა წარმოადგენდეს სკოლის მიერ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების აუცილებელ პირობას. ამასთან, სარგებლობის საფასური უნდა განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესი“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N570 დადგენილებით დამტკიცებული წესის მოთხოვნების შესაბამისად. ამ პირობათა დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში, სსიპ-ნესტორ გოქაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N22 საჯარო სკოლის მიერ დადებული იჯარის ხელშეკრულება განიხილება აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებად.

დასავლეთ საქართველოს რეგიონული
დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ვახტანგი ერემეიშვილი